

ოჯახებთან პროფილაქტიკური მუშაობის სტანდარტები და მიმართულებები

დოქტორი ბოლესლავ პოლემაკი

ლუბლინის ეკონომიკისა და ინოვაციების უმაღლესი სკოლა

რა არის სტანდარტი?



სტანდარტი

ეს არის ქცევის სასურველი და აღწერილი მოდელი რომელიც განაპირობებს მომსახურების მიწოდების უმაღლეს ხარისხს.

სტანდარტი როგორც მოცემული მომსახურების შესრულების საუკეთესო მეთოდი (შეად. იმაი, კაიზენი, 2006).

სტანდარტი არის საშუალება რომ რთულ ორგანიზაციულ სისტემაში მკვიდრობით განმეორებად, სასურველ ქცევებს.

სტანდარტი

სტანდარტი ნიშნავს მოქმედებათა ტიპიურობას რომელიც გამომდინარეობს ქცევის მიღებული მოდელიდან, განსაზღვრულ პირობებში გამოყენებადი პროცედურებიდან და წეს-ჩვეულებებიდან რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ამოცანების შესრულება შესაბამის **დონეზე** და შესაბამისი **ხარისხით**.

სტანდარტის მიმართ ძირითადი მოთხოვნაა ის რომ სტანდარტის გამოყენების **შედეგი** მოლოდინის შესაბამისი უნდა იყოს ანუ გარკვეული მოდელის მქონე ამოცანის რეალიზაცია უნდა მიმდინარეობდეს დასახული გეგმის მიხედვით და მისი ეფექტიც აგრეთვე უნდა იყოს დასახული მიზნის შესაბამისი.
(დომანსკა-შარუგა 2009).

სტანდარტები ქმნიან შესაბამის უნარებს.

ოჯახებთან თანამშრომლობის სისტემური დასაბუთება

- რადგანაც პრობლემები სისტემის კუთვნილებაა, ამიტომ ისინი განხილულ უნდა იქნას იმ კონტექსტში თუ როგორ ფუნქციონირებს მოცემული სისტემა;
- რადგანაც პრობლემებს სისტემური ხასიათი აქვთ, ამიტომაც ზემოქმედების მთავარი ობიექტი უნდა იყოს მთელი ოჯახური სისტემა;
- რადგანაც ინდივიდისა და საზოგადოების ჯანმრთელობა და განვითარება საზოგადოებრივი ღირებულებაა, ამიტომაც არ შეიძლება მათი განადგურება გაუაზრებელი საზოგადოებრივი მოქმედებების შედეგად;
- აღზრდა და პროფილაქტიკა, ესაა მოქმედებათა წყება რომელთა მიზანიცაა პასუხისმგებლობის განაწილება ერთეულისა და მისი გარემოცვის - კერძოდ კი ოჯახის მდგომარეობაზე.

ოჯახის სისტემური კონცეფცია: MODEL CIRCUMPLEX

MODEL CIRCUMPLEX გვეუბნება რომ ოჯახი არის სისტემა რომელიც სამ განზომილებაში ფუნქციონირებს:

- შეკავშირებულობა (*cohesion*),
- მოქნილობა (*flexibility*) oraz
- საკომუნიკაციო პროცესები (*communication*).

ამ განზომილებათა სხვადასხვა ინტენსივობა და მათი ურთიერთკონფიგურაცია განაპირობებს იმას რომ ოჯახური სისტემა არის:

- განუმეორებელი,
- აღწევს ფუნქციონალურობის/დისფუნქციონალურობის სხვადასხვა დონეს,
- აქვს განვითარების სპეციფიკური შეზღუდვები და შესაძლებლობები.

ოჯახური სისტემის განზომილებები

შეკავშირებულობა – ეს არის ემოციური კავშირი ოჯახის წევრებს შორის ხოლო მისი მაჩვენებლებია: ემოციური სიახლოვე, ფსიქოლოგიური საზღვრები, ოჯახური კოალიციები, საცხოვრებელი სივრცე და დრო, მეგობრული კონტაქტები, გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდები.

მოქნილობა - ესაა ოჯახში მიმდინარე ცვლილებების ხარისხი და დონე რომლებიც დაკავშირებულია ოჯახის წინამძღოლობასთან, იქ არსებულ როლებთან, ურთიერთობის პრინციპებთან. ამ ყველაფრის მაჩვენებლებია: წინამძღოლობის დიაპაზონი, მოლაპარაკებათა წარმოების სტილები, არსებული როლები ან პრინციპების რომლებიც ოჯახის წევრების ურთიერთკავშირებს განსაზღვრავს.

კომუნიკაცია – ეს არის ეფექტური ურთიერთგაგების უნარები რომლებიც გამოიყენება ქორწინებაში და ოჯახში. ეს არის დამხმარე განზომილება რომელიც საშუალებას იძლევა რომ შეიცვალოს შეკავშირებულობისა და მოქნილობის დონეები.

თანამედროვე ოჯახის პრობლემები (გაში, 2017)



- ბუნებრივი აღმზრდელების არაეფექტურობა.
- ტრადიციული ღირებულებების კრიზისი.
- მშობელთა ქცევის ნაკლოვანი მოდელები.
- ოჯახური კავშირების რღვევა.
- ოჯახის სტრუქტურული ცვლილებები.
- ბავშვების რაოდენობის შეზღუდვა ოჯახში.
- გაქცევა თვითსრულყოფიდან იოლი ცხოვრებისაკენ.

ოჯახთან დაკავშირებული რისკის ფაქტორები და დამცავი ფაქტორები

რისკის ფაქტორები:

- ქოტური ოჯახური გარემო.
- მშობლების დაბალი ეფექტურობა.
- მხარდაჭერის არქონა მშობლების მხრიდან.
- მიუღებელი საქციელების მოწონება.
- მომწიფებული კავშირების არქონა ოჯახში.
- არათანმიმდევრული დისციპლინა ოჯახში.
- მშობლების დისფუნქციური ქცევის მაგალითი.

დამცავი ფაქტორები:

- ძლიერი და პოზიტიური იჯახური კავშირები.
- მშობლების კონტროლი ბავშვების ქცევაზე.
- ქცევის ნათელი სტანდარტები.
- მშობლების ჩართულობა ბავშვების ცხოვრებაში.
- მშობლების თანამშრომლობა სკოლასთან.
- მშობლების თანამშრომლობა რელიგიურ ჯგუფთან.
- საზოგადოებრივი ნორმების დაცულობა ოჯახში.

როგორ
დავიცვათ
ბავშვები და
ახალგაზრდები?



პროფილაქტიკური მიდგომები ოჯახისადმი:

ოჯახი პროფილაქტიკაში

პროფილაქტიკა ოჯახში



მიდგომები ოჯახურ პროფილაქტიკაში:




ოჯახი პროფილაქტიკაში:

- გარე დიაგნოზი რომელიც გამაგრებულია საზოგადოებრივი შეხედულებებით.
- სტანდარტულ პროგრამაში ჩართვა.
- ოჯახის რეზისტენტობა ცვლილების მიმართ.
- ზემოქმედებათა შედეგიანობის გარე შეფასება.

მიდგომები ოჯახურ პროფილაქტიკაში

■



პროფილაქტიკა ოჯახში:

- ოჯახის ავტორიტეტის როლის დისკომფორტის სუბიექტური შეგრძნებიდან გამომდინარეობს.
- ცვლილებებისადმი გახსნილობა.
- პროგრამა აგებულია ოჯახის მოთხოვნებზე (ემყარება ოჯახის მიერ შერჩეულ კონცეფციას).
- ფუნქციონალობის სუბიექტური შეგრძნება როგორც ზემოქმედებათა ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმი.

საინფორმაციო მოქმედებების დონეზე

1. კვლევების სისტემატური ჩატარება სარისკო ქცევების თემაზე, შედეგების წარდგენა მშობლების ფართო წრისათვის.
2. საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება რომლებიც მიმართულია იმ დამცავი ფაქტორების ასახვაზე რომლებიც ოჯახს გააჩნია.
3. საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიების ჩატარება რომელთა მიზანია მშობლების გაფრთხილება იმ საფრთხეების შესახებ რომლებიც ბავშვებსა და ახალგაზრდებს ემუქრებათ.
4. ყურადღების გამახვილება სარგებელსა და ღირებულებებზე ყველა იმ გზავნილში რომლებიც მშობლებისკენაა მიმართული.

საგანმანათლებლო მოქმედებების დონეზე

1. მშობლების სწავლება თუ როგორ უნდა შეძლონ ძლიერი და პოზიტიური ოჯახური კავშირების აგება.
2. მშობლების წავლება თუ როგორ უნდა განახორციელონ მათ კონსტრუქციული კონტროლი შვილებზე - განსაკუთრებით ინტერნეტით სარგებლობის საკითხში.
3. აღმზრდელობითი უნარების სწავლება.
4. სპეციალისტების დატრენინგება თემაზე რომელიც პროფილაქტიკურ ღონისძიებებში ოჯახების ჩართვას შეეხება.

ალტერნატიული მოქმედებების დონეზე

1. მშობლების ჩართვა შვილებთან თავისუფალი დროის ერთობლივი გატარების პროცესში.
2. პირობების შექმნა იმისათვის რომ ოჯახმა თავისუფალი დრო ერთად გაატაროს.
3. ისეთი ადგილების შექმნა სადაც ოჯახი თავისუფალ დროს ერთად, უფასოდ და კონსტრუქციულად გაატარებს.

ინტერვენციის დონეზე

1. იმ ოჯახების მხარდაჭერა რომლებიც აღმზრდელობით პრობლემებს განიცდიან.
2. იმ მშობლების აღმზრდელობითი მხარდაჭერა რომლებიც შვილებს მარტო ზრდიან (მარტოხელა დედეების დახმარების პროგრამები).
3. ლოკალური კოალიციების აგება (სკოლა, მრევლი, თვითმმართველობა, NGO) პროფილაქტიკის მიზნით.

კანონთა ცვლილების დონეზე

1. ტრადიციული ღირებულებების პოპულარიზაცია.
2. მშობლების ჩართვა პროცეში რომელშიც ისინი თავიანთ თავზე აიღებენ პასუხისმგებლობას პროფილაქტიკური ღონისძიებებისათვის.
3. წესების ფორმულირება რომლებიც შეზღუდავენ მშობლების დისფუნქციურ მოქმედებებს, მაგალითად: გაცდენის გამართლება.
4. სსოციალურ პოლიტიკაში აქცენტების გადატანა მოდელიდან: **ოჯახი პროფილაქტიკაში** მოდელზე: **ოჯახის პროფილაქტიკა**.

გარემოს ცვლილებათა დონეზე

1. კოალიციების აგება პროფილაქტიკისათვის.
2. ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობა ოჯახების პროფილაქტიკისათვის.
3. ინტერდისციპლინარული ჯგუფების შექმნა პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად.
4. დისფუნქციური ქცევების შეზღუდვა - პრინციპი: ნული ტოლერანტობა.
5. სკოლისა და ოჯახის ჭეშმარიტი თანამშრომლობა.

გმადლობთ
ყურადღებებისათვის
და გიწვევთ
დისკუსიაზე!

wieslaw.poleszak@gmail.com

Tel.: 601782585

